

რატომ ფიქრობს ლიხაჩოვი რომ პროვოკაცია მოუწყვეს

ამონარიდები ალექსეი ლიხაჩოვთან ჩანერილი ინტერვიუდან. აი ფაქტმა, ვერ გადაამონმა ეს განცხადებები.

კითხვა: თქვენ ჩაიდინეთ დანაშაული...

პასუხი: „მე ბრალი ვალიარე, ეს არც თავიდან დამიმალავს. ვთქვი, რომ კი დამნაშავე ვარ. მაგრამ მე დამნაშავე ვარ იმაში, რომ დავთანხმდი რომ წავიღებდი ამ ფულს. მაგრამ იმ პროცესუალური დარღვევების გათვალისწინებით, სასამართლოს შეეძლო სხვა სასჯელი გამოეტანა.“

„ალბათ პირობითი იქნებოდა სამართლიანი. მკვლელები ნაკლებს უსჯიან იმასთან შედარებით, რაც მე მომისაჯეს“.

“ადვოკატის მუშაობის სპეციფიკა იმგვარია, რომ ის სხვადასხვა სტრუქტურებთან არის გადაჯაჭვული. შესაძლოა, უნებლიეთ ვინმეს ინტერესებთან მოხდა გადაკვეთა. მეტიც, ფსბ-ს მხრიდან იყო წინადადებები, რომ გამემხილა საადვოკატო საიდუმლო.“

„ეს რამდენიმე საქმესთან მიმართებაში შეგვიძლია განვიხილოთ. თუმცა, ყველაზე მეტად ალბათ მაშინ, როდესაც ხდებოდა ასე ვთქვათ „ტერორისტის“ სისხლის სამართლის საქმე.“

„მოგვიანებით სასამართლო ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ ის სულიერი ავადმყოფი იყო. მან დარეკა პოლიციაში და თქვა რომ სოჭის ხოსტინსკის სადგური არის დანაშაული.“

„მაშინ იყო წინადადებები, რომ მომეყოლა ვინ იყო მისი თანამონაწილეები ამ სულელურ წამონწყებაში. როგორც გაირკვა არავინ იყო. თუმცა, მე უარი ვთქვი გამემხილა რამე ჩემს კლიენტთან მიმართებაში.“

„არსებობს კანონი საადვოკატო საქმიანობის შესახებ. შესაძლოა ამას უკავშირდებოდა უკმაყოფილება, შესაძლოა სხვა საქმეებს. 30 წლიანი აქტიური მუშაობის შედეგად... თანაც მე მქონდა კარგი ურთიერთობა მოსამართლეებთან, სამართალდამცველებთან... შესაძლოა ვინმეს ვინმეზე რალაცის გარკვევა უნდოდა...“

„იკონინადადებები გამეგო ამა თუ იმ მოსამართლის საქმიანობის შესახებ, ანაც რომელიმე სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლის საქმიანობის შესახებ. კითხვები იყო ამ თემაზე - იღებს (ქრთამს) არ იღებს, აძლევს/არ აძლევს...“

აგური

„სავარაუდოთ 6-7 წლის უკან ჩემი მანქანით ვმოძრაობდი, როდესაც გადამისწრო უიგულის მეცხრე მოდელის მანქანამ.“

“უკანა კარის დაშვებული მინიდან მასკიანმა ადამიანმა გამოყო ხელი და მოძრაობისას ჩემს მანქანას ესროლა აგური, რომელმაც გატეხა ლუქი და დაეცა სალონში. საბედნიეროდ მე არ მომხვდა.

„მე საჭესთან ვიყავი. სამართალდამცველებს მივმართე, მაგრამ საქმის აღძვრაზე უარი მითხრეს იმ მოტივით, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა: მანქანამ ჩაიარა და ბორბლმა ქვა გაისროლაო...

ავტობატი

„ერთ-ერთი მეწარმისგან მქონდა ნაქირავეები ფართი. იქ ჩემს ვაჟებს გავუხსენი ტექნიკური მომსახურების სადგური... კრედიტით ვიყიდე ხუთი აშნე, ერთი სიტყვით საჭირო აპარატურა...

„დილით მივედი და აღმოვაჩინე ერთგვარი შეკვრა. დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძეში. ლურჯი ფერის საბანში იყო გახვეული.

„ავიღე და იატაკზე გავშალე. უყურებ და იქ ავტობატი აკა 74-ია, ორი მჭიდით...

„მივმართე ჩემს ნაცნობს, რომელიც ფსბ-ს ყოფილი თანამშრომელია. ჩემი მეზობელია. ვუთხარი - დაურეკე შენებს, უთხარი მოვიდნენ და წაიღონ, თორემ გადავაგდებ ნაგვის ურნაში და ვის ხელში მოხვდება არავინ იცის...

„მოვიდა ადამიანი, ისევ ჟიგულის მეცხრე მოდელით... გახსნა საბარგული, დამისვა კითხვა - მოვკიდე თუ არა ხელი...? ვუთხარი - არა, არ შევხებოვარ. ჩააგდო საბარგულში და წავიდა.

„ვფიქრობ ეს დაშინების ერთგვარი მეთოდია. მისცე ადამიანს საშუალება დაფიქრდეს როგორ მოიქცეს, რა თქვას, რა არ თქვას...”

მეხსიერების ბარათი

„ჩემი ერთ-ერთი კლიენტი იყო ბანკის თანამშრომელი. მან მომცა მეხსიერების ბარათი. დიდი, დაახლოებით მობილური ტელეფონის ზომის. იმ ინფორმაციისთვის, რომელიც ზედ იყო დიდი ოდენობით მეხსიერება იყო საჭირო.

„ისევ და ისევ ჩემი მეზობლის რეკომენდაციით შევხვდი ორ თანამშრომელს. ვუთხარი, რომ არის ასეთი წინადადება ჩემი კლიენტისგან, რომელიც მზადაა მოგცეთ ინფორმაცია ერთ-ერთ ბანკში 12 მილიარდი რუბლის გატაცებაზე.

„აი ეს ინფორმაცია, თქვენ კი დაეხმარეთ რომ ის პასუხისგებაში არ მისცენ. მათ აიღეს ეს მეხსიერების ბარათი და დამპირდნენ, რომ დაფიქრდებოდნენ.

„ამის შემდეგ მეხსიერების ბარათიც გაუჩინარდა და ეს ორი თანამშრომელიც.

„ისევ მეზობელს მივმართე. ის დაუკავშირდა, მაგრამ უთხრეს, რომ მეხსიერების ბარათი დაიკარგა. იქ ბევრი ინფორმაცია იყო, მათ შორის რუსეთის პარლამენტის დეპუტატების შესახებ“.

ჩემს **კლიენტს ბანკის (სხვა ბანკის, არ იმ ბანკის სადაც მუშაობდა)** გაძარცვისთვის 7 წელი მიუსაჯეს. მოგვიანებით სააპელაციო სასამართლომ ჩამოაკლო ერთი წელი.

პროკურორი

„არტიომ მეცკანი იყო პროკურორი ჩემს საქმეზე პირველ ინსტანციაში. ის ჩემთვის სასჯელის სახით 10 წელს მოითხოვდა, მაგრამ სასამართლომ 7 მომისაჯა.“

„მასთან ბევრი რამ მაკავშირებს. კარგი მეგობრული ურთიერთობები მქონდა. მეტიც, მე მისგან ვისესხე ერთი მილიონი რუბლი. დავწერე ხელწერილი, მაგრამ რადგან პროკურატურის თანამშრომელი იყო, მთხოვა რომ დამეწერა მისი დის სკოლკოვა ოლგა გიორგიევნას სახელზე.“

„თუმცა, პროცენტების თანხას პირადად მე პირადად მას ვუხდიდი. მგონი ამ საპროცენტო თანხების ჯამმა უშუალოდ ნასესხები თანხის ოდენობასაც გადააჭარბა.“

„როდესაც რუსეთიდან წავედი, მან დაიწყო ჩემი მეუღლის შვეინროვება, რომელთანაც 3 წელია გაყრილი ვარ.“

„ის მას ემუქრებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და ეუბნებოდა - შენ მიყვები შენს ქმარსო.“

„ითხოვდა ფულის სრულად დაბრუნებას, ფული კი არ გვქონდა. მას ჩემმა ოჯახმა შესთავაზა მიწის 4 ნაკვეთი. მათი საერთო ღირებულება არის 5 მილიონი რუბლი. გადაფორმება მოხდა მისი დის სახელზე.“

„თუმცა, ის ისევ მივიდა ჩემს ყოფილ მეუღლესთან და აიძულა დაეწერა ხელწერილი კიდევ 2.5 მილიონ რუბლის ოდენობის დავალიანებაზე.“

„გარდა ამისა, მეცკანი ამუშავებდა კაფე „ძველ თბილისს“, რომელიც ეკუთვნოდა ჩვენს კომპანიას „რენესანს“ იმ მოტივით, რომ ვალი უნდა ამოეღო“.

ამ მომენტისთვის ალექსეი ლიხაჩოვის ყოფილმა მეუღლემ სოჭის პროკურატურაში არტიომ მეცკანის წინააღმდეგ განცხადება შეიტანა. შესაძლოა სწორედ ეს შემთხვევა, მიუთითოს ახალ გარემოების სახით ალექსეი ლიხაჩოვმა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის ხელახალ განაცხადში.

ბმული მისი მეუღლის განცხადებაზე